თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2026 წლის 27 იანვარი

დაბა თიანეთი

თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაგრანეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 73.11.23.657; 73.11.23.658; 73.11.23.676; 73.11.23.675) სააგარაკე-საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაგრანეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 73.11.23.657; 73.11.23.658; 73.11.23.676; 73.11.23.675) სააგარაკე-საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა თანდართული პროექტის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თიანეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნიკოლოზი დიდებაშვილი**